



პირველი სამუშაო ჯგუფის,
გენდერული თანასწორობის ქვეჯგუფის
შეხვედრის ოქმი

თარიღი: 28 სექტემბერი, 2017 წელი

დრო: 12:00 – 14:00 საათი

შეხვედრის ადგილი: სასტუმრო GSG

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. მანანა ბიწაძე-მიქელაძე - თავისუფალი არჩევანი
2. ქეთევან კურცხალია - ქალთა პოლიტიკური რესურს ცენტრი
3. ლია ნადარაია - ქალთა პოლიტიკური რესურს ცენტრი
4. იულია ხარაშვილი - იძულებით გადაადგილებულ ქალთა ასოციაცია "თანხმობა"
5. ნატალია ხოხიაშვილი - ახალი თაობა დემოკრატიული საქართველოსათვის
6. ნანა ნაზაროვა - ადამიანის ჰუმანიტარული განვითარების ხელშეწყობის საზოგადოება
7. ჩარიტა ჯაში - კავკასიის განვითარების ჯგუფი
8. ხათუნა ჩარგაზია - სამოქალაქო განვითარებისა და ადამიანის უფლებათა ცენტრი
9. მერი კაპანაძე - დემოკრატიულ ინიციატივათა საერთაშორისო ცენტრი
10. ინგა ხუციშვილი - სამოქალაქო საზოგადოების და დემოკრატიის განვითარების ცენტრი
11. გრიგოლ ბაკურაძე - საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირი

განსახილველი საკითხები:

- გენდერული თანასწორობის ქვეჯგუფში გასაწევრიანებელი ორგანიზაციების სიის ფორმირება
- ქვეჯგუფის ურთიერთობის კოორდინაცია გენდერული თანასწორობის საკითხებზე მომუშავე ინსტიტუციებთან
- საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის საპროექტო წინადადების განხილვა
- საერთაშორისო ჯგუფის მიერ შემუშავებული დოკუმენტების განხილვა
- სხვა

ქვეჯგუფის შეხვედრა გახსნა გენდერული თანასწორობის ქვეჯგუფის კოორდინატორმა და დამსწრეებს გააცნო შეხვედრის დღის წესრიგი.

პირველად ქვეჯგუფმა განიხილა გენდერული თანასწორობის ქვეჯგუფში პოტენციურად წევრობის კანდიდატი ორგანიზაციების სიის ფორმირების საკითხი. მსჯელობის შემდეგ ქვეჯგუფი შეთანხმდა, ქვეჯგუფის მიერ ერთობლივად მომზადებული მოწვევის წერილები გაიგზავნოს გენდერის საკითხებით დაინტერესებულ ორგანიზაციებთან, მათ შორის პალტფორმის არაწევრ ორგანიზაციებთან, რომლებიც პლატფორმაში გაწევრიანების შემდეგ აქტიურად იმუშავენ გენდერული თანასწორობის ქვეჯგუფში. ამასთანავე, ქვეჯგუფმა მიიღო გადაწყვეტილება, პლატფორმის წევრ ორგანიზაციას „ქალთა საინფორმაციო რესურს ცენტრი“ ეთხოვოს გენდერული თემატიკით დაინტერესებული ორგანიზაციების ბაზა. გარდა ამისა, ქვეჯგუფის წევრმა თითოეულმა ორგანიზაციამ, თავის მხრივ, დაასახელოს რამდენიმე ორგანიზაცია, რომელიც მუშაობს ქვეჯგუფის მიერ განსაზღვრულ საკითხებზე და განხორციელდეს მათთან მიზნობრივი კომუნიკაცია. წერილებზე პასუხისმგებლად განისაზღვრა ორგანიზაცია „დემოკრატიულ ინიციატივათა საერთაშორისო ცენტრი“, რომელიც ქვეჯგუფის კოორდინატორთან შეთანხმებით გააგზავნის წერილებს. აღნიშნული ორგანიზაციის წარმომადგენელმა, ქალბატონმა მერი კაპანაძემ, ქვეჯგუფის საქმიანობის გამარტივების მიზნით ასევე შექმნა ქვეჯგუფის Facebook გვერდი, სადაც პერმანენტულად აიტვირთება ქვეჯგუფის საქმიანობისთვის საჭირო დოკუმენტები, რაც ერთგვარ სამუშაო პორტფოლიოს შექმნის. დოკუმენტები ასევე აიტვირთება Google Docs-ის ფორმატში, რათა ქვეჯგუფის წევრებს შესაძლებლობა ჰქონდეთ ერთიან სისტემაში იმუშაონ დოკუმენტებზე.

სამოქალაქო საზოგადოების და დემოკრატიის განვითარების ცენტრის წარმომადგენელმა წარადგინა წინადადება, რომ იგი მოამზადებს ამერიკის მთავრობის მიერ განხორციელებული პროექტების გენდერულ ანალიზს, რომელიც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სამუშაო დოკუმენტი იქნება ქვეჯგუფისთვის.

კიდევ ერთ სამუშაო დოკუმენტად განისაზღვრა ორგანიზაციის „ქალთა პოლიტიკური რესურს ცენტრი“-ს მიერ მომზადებული ასოცირების ხელშეკრულების გენდერული ანალიზი, რამდენადაც ქვეჯგუფისთვის მნიშვნელოვანია ამ მიმართულებით მუშაობის გაძლიერება.

მეორე საკითხად ჯგუფმა იმსჯელა გენდერული თანასწორობის საკითხებზე მომუშავე ინსტიტუციებთან ქვეჯგუფის ურთიერთობის კოორდინაციაზე. სამიზნე ჯგუფებად გამოიყო შემდეგი ორგანიზაციები:

- საარჩევნო ადმინისტრაციის გენდერული თანასწორობის საბჭო;
- საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭო;
- გენდერული თანასწორობის საკითხთა სამთავრობო კომისია;
- საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის გენდერული თანასწორობის დეპარტამენტი;
- მუნიციპალიტეტებში არსებული ქალთა ოთახები.

პირველი ჯგუფის კოორდინატორმა, ქალბატონმა მანანა ბიწაძე-მიქელაძემ აიღო ინიციატივა თბილისის მუნიციპალიტეტებში არსებული ქალთა ოთახების საქმიანობის შესახებ ინფორმაცია მოიძიოს და მიაწოდოს ქვეჯგუფს.

ქვეჯგუფმა ასევე იმსჯელა აღნიშნულ ინსტიტუტებთან მემორანდუმების გაფორმების შესახებ. მემორანდუმის ტექსტის მომზადების ინიციატივა აიღო ქალთა პოლიტიკური რესურს ცენტრის წარმომადგენელმა.

ჯგუფმა ასევე იმსჯელა ქვეჯგუფის უფლებამოსილების შესახებ. ერთადერთი დოკუმენტი, რომელიც აწესრიგებს ქვეჯგუფის საქმიანობას გახლავთ პლატფორმის წესდება, სადაც დეტალურად არ არის გაწერილი ქვეჯგუფების საქმიანობასთან დაკავშირებული მთელი რიგი საკითხები, მათ შორის ქვეჯგუფში გადაწყვეტილების მიღებისა და ქვეჯგუფისა და პლატფორმის გარე ინსტიტუტებთან თანამშრომლობისა და კომუნიკაციის ფორმები და სხვა. მსჯელობის შემდეგ ქვეჯგუფმა მიიღო გადაწყვეტილება მომზადდეს ქვეჯგუფის საქმიანობის რეგლამენტი, სადაც განსაზღვრული იქნება ქვეჯგუფის უფლებამოსილებები, ხოლო შემდეგ წარედგინოს იგი საბჭოს დასამტკიცებლად.

შემდეგ საკითხად ჯგუფმა იმსჯელა საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის საპროექტო წინადადების განხილვაზე. ქვეჯგუფის კოორდინატორმა გააჟღერა ინფორმაცია, რომ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი გასცემს მცირე გრანტებს და ისაუბრა ქვეჯგუფის მხრიდან გრანტის მოპოვების შესაძლებლობებზე. ქვეჯგუფმა მიიღო გადაწყვეტილება შეხვდნენ აღნიშნული ცენტრის წარმომადგენლებს, რათა მიიღონ დეტალური ინფორმაცია საგრანტო პროცედურების შესახებ. ქვეჯგუფის კოორდინატორს ეთხოვა აღნიშნულ ცენტრთან კომუნიკაცია.

პოლიტიკური რესურს ცენტრის წარმომადგენელმა, ქალბატონმა ლია ნადარაიამ ასევე წარადგინა წინადადება ქვეჯგუფმა იფიქროს გენდრულ საკითხებზე მიძღვნილი კონფერენციის ჩატარებაზე. ფინანსური მხარდაჭერის მოსაპოვებლად კი მნიშვნელოვანია ქვეჯგუფმა აქტიურად იმუშაოს შესაბამის დონორებთან.

ორსაათიანი მსჯელობის შემდეგ ქვეჯგუფის შეხვედრა დასრულდა.

შეხვედრის მდივანი: სალომე სიჭინავა.